



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000011936086220

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 40

04 / ნოემბერი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669-ე დადგენილების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე მუხლის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 54-ე მუხლის, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი. (ს/კ 50.04.35.011)
2. დამტკიცდეს- ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის
 - ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური-2800.0 (ორიათას რვაასი) ლარის ოდენობით.
 - „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 840.0 (რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.
 - აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -280.0 (ორასოთხმოცი) ლარის ოდენობით.
 - საპრივატიზებო პირობა: პრივატიზებიდან ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს არანაკლებ 50000 (ორმოცდაათი ათასი ლარის ინვესტიცია).
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემტრონულად



თამარ ყვინიშვილი